ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4814094

ნომერი: AR1726440

თარიღი : 26.12.2019

გაცემის თარიღი : 17.01.2020

გაცნობის თარიღი : 20.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შოთა ნიშნიანიძის ქუჩა N30ა, შოთა ნიშნიანიძის ქუჩა N36;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ბლიაძე პ/ნ 01001026938
- მუხიანი 1 მრ. კორპ.17, ბ.128

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4149242 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 26 დეკემბერს №AR1726440 განცხადებით მომართა მოქ. აკაკი ბლიაძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4149242 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 14 სექტემბრის №4149242 ბრძანებით №01.18.03.017.016 და № 01.18.03.017.018 (საერთო ფართობი: 326 კვ.მ., ფუნქციური ზონა (ზონები): საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)), საკადასტრო ერთეულებზე სასტუმროს აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

2019 წლის 18 იანვრის № 4328070 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2018 წლის 14 სექტემბრის №4149242 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: : მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა -326 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდა - №01.18.03.017.058;

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 08 ნომებრის N48-90 დადგენილება, რომლის მიხედვითაც სატრანსპორტო ზონა - 1 (ტზ-1) შეიცვალა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), საერთო ფართობი: 19 კვ.მ; ასევე გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე გავრცელებული გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1 ფაქტობრივი მდგომარეობით ფარავს გალავნის ქვის კედელს და არ წარმოადგენს მწვანე ნარგავებით გამწვანებულ სივრცეს, შევიდა ცვლილება თბილსის გამწვანებული ტერიტორიების რუკაში და მოიხსნა გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენს (სარეკრეაციო ზონა 1, საერთო ფართობი: 7 კვ.მ).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4149242 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწათსარგებლობის ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე: დაფიქსირდეს - საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4149242 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებსა და 2019 წლის 18 იანვრის № 4328070 ბრძანებებთან ერთად

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია„მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27მარტის N4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესებით“ და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.